PDF Eraser Free

დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ კოლეჯ "ბლექსის" მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სასტუმრო მომსახურება"პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი
წევრი: ნინო მოწყობილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ კოლეჯი "ბლექსი“
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო კოდი:[redacted]
სახე:

- [ ] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [x] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

- [x] პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა
- [ ] პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება
- [ ] საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება
- [ ] ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

IV. საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 30 მარტის N301632 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს (თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი, წევრი: ნინო მოწყობილი) დაევალა, სსიპ კოლეჯ "ბლექსიში" ,,სასტუმრო მომსახურების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის – პროგრამების სპეციფიკისა და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით და „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტთან შესაბამისობის შეფასება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, დისტანციურად ჩართვამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა დისტანციური ადმინისტრაციული წარმოების გასაუბრების განრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც 15 აპრილს, 14.00 საათზე განხორციელდა ჩართვა. შეხვედრამ ჩაიარა მშვიდ გარემოში.

ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელობას და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს. შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან ერთად განიხილეს დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამისთვის „სასტუმრო მომსახურება“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებული საკითხები. გაესაუბრნენ პროფესიული საგანმანათლებლო მოდულების განმახორციელებელ პირებს, პროგრამის ხელმძღვანელს და შეამოწმეს მათი პირადი საქმეები. ექსპერტების მიერ განხორციელდა ასევე სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის განხილვა და შესაბამის პასუხისმგებელ პირთან გასაუბრება. შემოწმდა დაწესებულების მატერიალური ბაზა, საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური რესურსი, ბიბლიოთეკაში არსებული პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი ფონდი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. შემოწმდა პრაქტიკის ობიექტებთან დადებული მემორანდუმები/ხელშეკრულებები და განხორციელდა მათთან გასაუბრება ონლაინ რეჟიმში.

დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული წარმოდგენილ დასკვნაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

-

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

(ასეთის არსებობის შემთხვევაში, ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან გამომდინარე)

არ გაცემულა

VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ დაფიქსირებულა

IX .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

-

X. . განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

პროგრამის სახელწოდება	სასტუმრო მომსახურება
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმრო მომსახურებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1013
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	N 01-02/161; 02.08. 19; N 01-02/ 103; 11.06.2020; 01-02/46; 05.03.2021
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ბათუმი, მიხეილ ლერმონტოვის N 92ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური და დუალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	60 პროფესიული სტუდენტი. მათ შორის: 10 -დუალური. 50-მოდულური; მათ შორის, 45 - ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	45
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	140-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	80
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	170
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	110

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	შეესაბამება	შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის და ონლაინ დათვალიერების, ასევე შესაბამის პირებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „სასტუმრო მომსახურება“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილი იქნება დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (60 პროფ სტუდენტი. 10- დუალური, 50 მოდულური. მათ შორის, 45 პროფესიული სტუდენტი ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით)

დუალური სწავლებისათვის და პრაქტიკული კომპონენტების განსახორციელებლად კოლეჯს ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული სასტუმროებთან: Hilton Batumi (ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება N14 – 02.06.2020), Wyndham Batumi (ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება N24 – 04.03.2021). ხელშეკრულებების თანახმად ორივე დაწესებულება იღებს ვალდებულებას განახორციელოს ორი მოდულის: ,,სასტუმროსა და რესტორნის-სამზარეულოს დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფა“ (III და V შედეგები) და ,,სასტუმროს დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფა“ (II-V სწავლის შედეგები) სწავლება და ერთი დღის განმავლობაში მოემსახუროს არაუმეტეს 8 პროფესიულ სტუდენტს. ამავე ხელშეკრულებების თანახმად, რაც ასევე დაგვიდასტურა ონლაინ ჩართვის დროს სასტუმრო Wyndham-ის წარმომადგენელმა, გამოყოფილია შესაბამისი კომპეტენციების მქონე პირი, რომელიც უზრუნველყოფს სასტუმრო ბაზაზე პროფესიულ სტუდენტთა სწავლებას. ხელშეკრულებას თან ერთვის შესაბამისი მატერიალური რესურსის ჩამონათვალი, რომლის არსებობაც ასევე უნდა უზრუნველყოს პრაქტიკის ობიექტმა.

დაწესებულებაში წარმოდგენილია ერთი A გარემო, რომელიც გათვლილია 15 პროფესიულ სტუდენტზე და გამოიყენება „სასტუმრო მომსახურების“ პროგრამის ფარგლებში მოცემული მოდულების განხორციელების მიზნით. დაწესებულებაში ასევე წარმოდგენილია B გარემო, რომელიც გათვლილია ერთდროულად 15 პროფესიულ სტუდენტზე, რაც გადამოწმდა დათვალიერებისას. ცალკე არის მოწყობილი პირველადი გადაუდებელი დახმარების ოთახი შესაბამისი მატერიალური რესურსითა და მასალა ნედლეულით. კვების ბლოკისთვის გათვალისწინებულია ცალკე ერთი C გარემო შესაბამისი მატერიალური რესურსებით და ლაბორატორია ინტეგრირებული მოდულების პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად, რაც ასევე გადამოწმდა დათვალიერებისას.

პროფესიული მოდულების განხორციელების მიზნით დაწესებულებაში ასევე წარმოდგენილია ორი A/C გარემო, რომლებიც აღჭურვილია სასტუმრო მომსახურების სპეციფიკის გათვალისწინებით პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით. აღნიშნულ A/C გარემოში გათვალისწინებულია A გარემოსთვის საჭირო მატერიალური რესურსი სამუშაო მაგიდების, სკამების და სხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
საჭირო რესურსების ჩათვლით, რაც საკმარისია მაქსიმუმ 15 პროფესიული სტუდენტისთვის. ასევე აღჭურვილია სასტუმრო მომსახურების სპეციფიკის C გარემოსთვის დამახასიათებელი მატერიალური აღჭურვილობით: სასტუმროს დახლი, სასტუმრო ოთახის სიმულაციური კუთხე, სადაც წარმოდგენილია საწოლები თავისი ტუმბოებით, სამუშაო მაგიდა სანათით, სკამი და სხვა შესაბამისი აქსესუარები. მატერიალური რესურსების ნაწილი, რომელიც გათვალისწინებულია ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით მოცემულია საწარმოში, კერძოდ სველი წერტილი თავისი აქსესუარებით და ზოგადად, დასუფთავების მოდულის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსები და ნედლეული. შესაბამისად, დასუფთავების მოდულში აღნიშნულია, რომ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება და მისი შედეგების მიღწევა ხდება პარტნიორ საწარმოში, რაც პარტნიორ კომპანიის წარმომადგენელთან გასაუბრებისას გადამოწმდა.

დაწესებულებას მიმდინარე პერიოდში „სასტუმრო მომსახურების“ დუალურ პროგრამაზე ჰყავს 4 პროფესიული სტუდენტი. აღნიშნული პროგრამის განხორციელებისთვის დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები ოთხ პარტნიორ კომპანიასთან, რაც საშუალებას აძლევს დაწესებულებაში არსებული რესურსი გამოიყენოს სხვა ჯგუფებისთვის. სასტუმრო მომსახურების დუალური პროგრამის ფარგლებში ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები გაფორმებულია შემდეგ კომპანიებთან: 1.შპს ,,ტურინვესტი” (სასტუმრო ,,Hilton Batumi”) - №34; 09.07.19; 2.შპს ,,არგო მენეჯმენტი (,,სასტუმრო ,,რედისონ ბლუ ბათუმი“) - №48; 31. 07.19; 3. შპს ,,აქთივ ბათუმი“ (სასტუმრო ,,Windham Batumi”) - №36; 09.07.19; 4. შპს „ქარაფი“ (სასტუმრო “Castello Mare”) - №41; 10.07.19; თუმცა პანდემიიდან გამოწვეული გარემოებების გამო დუალური პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტები ამ ეტაპზე პრაქტიკულ კომპონენტს გადიან შპს ,,ტურინვესტი” - სასტუმრო ,,Hilton Batumi”-ში.

კოლეჯს ასევე ჰყავს მოდულურ (ინტეგრირებულ) პროგრამაზე 14 აქტიური პროფესიული სტუდენტი და აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები: 1. შპს ,,აქთივ ბათუმი“ (სასტუმრო ,,Windham Batumi”) - №24; 04. 03. 21, რომლის მიხედვითაც საწარმოს შეუძლია მიიღოს მაქსიმუმ 15 პროფესიული სტუდენტი და 2. შპს ,,ტურინვესტი” (სასტუმრო ,,Hilton Batumi”) - №14 02.06.2020 წელი, ასევე 2021 წლის თებერვლის თვით დათარიღებული დამატებითი შეთანხმება, რომელიც გაფორმებულია მოდულური (ინტეგრირებული და არაინტეგრირებული) პროგრამის ფარგლებში შეუძლია მიიღოს 35 პროფესიული სტუდენტი 2 მოდულის რამდენიმე შედეგის მიღწევის მიზნით. პარტნიორ კომპანიების ხელშეკრულებების დათვალიერების და წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება პარტნიორების მზაობა მიიღონ ჯამში 50 პროფესიული სტუდენტი, დღიური 7 და 8 პროფესიული სტუდენტის ოდენობით, რაც დარეგულირებულია შესაბამისი განრიგით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
პროგრამის გამტარუნარიანობას ზრდის ის ფაქტორიც, რომ დაწესებულება ოპერირებს ორ ცვლაში და შესაძლებლობა აქვს სასწავლო ჯგუფების მიერ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსების გამოყენება სხვადასხვა საათებში გადაანაწილოს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულადაა უზრუნველყოფილი დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

2. **პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას; სასწავლო საქმიანობის სრულყოფილად წარმართვისათვის**

კოლეჯს საგანმანათლებლო პროგრამისთვის - „სასტუმრო მომსახურება“- განსაზღვრული აქვს პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და მათი საათობრივი დატვირთვა. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა მათთან დადებული ხელშეკრულებები და კვირეული საათობრივი დატვირთვა, რის შედეგედაც დადგინდა, რომ პროგრამის განსახორციელებლად კოლეჯს ჰყავს: 6 - პროფესიული მასწავლებელი ზოგადი მოდულებისთვის, 23 - პროფესიული მასწავლებელი პროფესიული მოდულებისთვის და 14 - მასწავლებელი ხუთი ინტეგრირებული ზოგადი მოდულისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით კოლეჯში სრულად უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „სასტუმრო მომსახურების“ განმახორციელებელი ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის გადამოწმების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტის პერიოდში შემოწმდა მათი პირადი საქმეები. აღნიშნული დოკუმენტაციის გადამოწმების და მათთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

„სასტუმრო მომსახურების“ განსახორციელებლად, პროფესიული განათლების მასწავლებლები, აყვანილნი არიან დაწესებულების მიერ განსაზღვრული წესის საფუძველზე და აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. მათ გავლილი აქვთ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგები სწავლებისა და შეფასების საკითხებზე და კოლეჯის ხელმძღვანელთან გასაუბრებით დგინდება, რომ ისინი კვლავაც გეგმავენ პროფესიული მასწავლებლების შემდგომ განვითარებას.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „სასტუმრო მომსახურება“ ხელმძღვანელთან ონლაინ გასაუბრებით დადგინდა, რომ იგი მაღალკვალიფიციური კადრია, ჩართული იყო პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის შემუშავების საქმეში და აქტიურად მონაწილეობს მისი განხორციელების, შეფასების და განვითარების მთლიან ციკლში. კოორდინაციას უწევს პროფესიული განათლების მასწავლებლების საქმიანობას, პროგრამასთან/მოდულთან დაკავშირებულ ინფორმაციას აწვდის პროფესიულ სტუდენტებს. მისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ფუნქციები და საჭირო უნარები გაწერილია დირექტორის ბრძანებით.

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

დაწესებულებამ ონლაინ ჩართვაში ექსპერტებს წარმოგვიდგინა და დაგვათვალიერებინა კოლეჯის ბიბლიოთეკა. ონლაინ ჩართვის დროს, შერჩევითობის პრინციპით, გამოვითხოვეთ პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი, რომლებიც ადგილზე აღმოჩნდა, როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური სახით. შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
საგანმანათლებლო მისიას ემსახურება ელექტრონული კატალოგი (OpenBiblio), რომელიც განთავსებულია ასევე დაწესებულების ვებგვერდზე.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

კოლეჯის მიერ შემუშავებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის, მუხლი 33-ით განსაზღვრულია. სასწავლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები, რაც სხვა საკითხებთან ერთად გულისხმობს საჭიროების შემთხვევაში სსსმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის და სპეციალური მომვლელის ჩართვას.
სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, კოლეჯს ჰყავს ჰყავს ორი ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, სსსმ პირთა ასისტენტი და ასევე ჟესტური ენის თარჯიმანი. ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტთათვის სასწავლო პროცესის და სასწავლო გარემოს მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით განსაზღვრა, ხოლო სსსმ პირთა ასისტენტის ფუნქციაა უზრუნველყოს სტუდენტის სამუშაო და სასწავლო მასალის ადაპტირება.

კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ დაწესებულებას აქვს სრული მზაობა, საჭიროების შემთხვევაში, მოდულის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში, პროფესიული განათლების მასწავლებლისა და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის მიერ სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგად უზრუნველყოს კონკრეტული პირი ინდივიდუალური სასწავლო გეგმით.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
პროგრამის განხორციელება ხორცილდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვაუჩერული დაფინანსებით, რაც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სასტუმრო მომსახურება“ ფინანსურ მდგრადობას. დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის განხორციელების საპროგნოზო ბიუჯეტი. ბიუჯეტში გაწერილია შემოსავლისა და ხარჯების სახეები, მათ შორის პროგრამის განვითარებისათვის საჭირო თანხები. ბიუჯეტის გათვლის დროს გათვალისწინებულია პროგრამის რენტაბელობის ზღვარი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სასტუმრო მომსახურება“;
- კოლეჯის ვებ-გვერდი: www.blacksea.edu.ge;
- სსიპ კოლეჯის “ბლექსი“ დირექტორის 2020 წლის 04 ივნისის №01-02/91 ბრძანება „სსიპ კოლეჯში „ბლექსი“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგია“;
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ონლაინ დათვალიერების შედეგები;
- პროგრამის განმახორციელებლებთან გასაუბრების შედეგები;
- კოლეჯის დირექციასთან გასაუბრების შედეგები;
- პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგები;
- პროგრამის სასწავლო გეგმა.
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სასტუმრო მომსახურება“ ხელმძღვანელის პირადი საქმე; სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ დირექტორის 2019 წლის 25 ივლისის N01-02/139 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“
- პროგრამის ბიუჯეტი;

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

XIV. თანდართული დოკუმენტაცია

17.05.2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: